ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01190522921**
თარიღი: **21/02/2019**
პინი: **2976**

ადრესატი: თეა ჭიღლაძე
პირადი ნომერი: 01023000378
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, გუდამაყარის ქუჩა, N 7ა, ბინა 18

გადააამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2019 წლის 12 თებერვალს ე.ს.ა. „გუდამაყრის 25''-ს უარი ეთქვა ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, გუდამაყრის ქ. N25-ში (ს/კ N01.12.06.015.014) მდებარე ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე Nბ-19/01183021667-17 ბრძანებით. აღნიშნულ ბრძანებაში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, არასწორად მიეთითა არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება. კერძოდ ნაცვლად №2406900 28.01.2016წ. ბრძანებისა მიეთითა N1930062 02.06.2015წ. ბრძანება. ინსპექციამ იმსჯელა ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად გადაწყვიტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 12 თებერვლის Nბ-19/01183021667-17 ბრძანებაში და არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანებად დაფიქსირდეს №2406900 28.01.2016წ., ხოლო მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანებად_№2422273 09.02.2016წ.
წინამდებარე წერილი განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 12 თებერვლის Nბ-19/01183021667-17 ბრძანებასთან ერთად.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ ბ-19/01183021667-17

"12" 02 2019 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, გუდამაყრის ქ. №25-ში (ს/კ №01.12.06.015.014) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1930062 02.06.2015წ.

ინსპექციის სპეციალისტების მიერ სექტორი – ნაძალადევი, გუდამაყრის ქ. №25-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

მოსახსნელია სამშენებლო ღობე. ±0.00 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე 0.2 მ-ით, "ა" ღერძის გარეთ დასასრულებელია ფილის მოწყობა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების რაოდენობა და მდებარეობა. ნაწილობრივ გაუქმებულია კოლონების მოპირკეთება. გაუქმებულია დეკორატიული ლესვა. ნაწილობრივ შეცვლილია კაპიტალური კედლების კონფიგურაცია რის გამოც ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტი და რაოდენობა. კიბის უჯრედში დამატებით მოწყობილია ღიობები და ლითონის გისოსები. ნაწილობრივ შეცვლილია კარფანჯრების ვიზუალი რაოდენობა და მდებარეობა. დასასრულებელი შენობის ძირების ნაწილის მოპირკეთება. ტერიტორიიდან გასატანია სამშენებლო ნარჩენი. შენობის სახურავზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირები. +16.10 ნიშნულზე შეცვლილია კიბის უჯრედის ოთახის ფორმა და გაბარიტი. ამავე ნიშნულზე დამატებით მოწყობილია სავენტილაციო შახტები. სახურავზე დატოვებულია არმატურის ნაშვერები.
"1-6"ფასადი: +2.90 ნიშნულზე "1" ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. "2-3" მონაკვეთში შემცირებულია კიბის საფეხურების რაოდენობა. "2" ღერძის მიმდებარედ გაუქმებულია ვიტრაჟი და დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი. +6.20 ნიშნულზე "2-3" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები.
"6-1"ფასადი: +2.90 ნიშნულზე "4-3" მონაკვეთში კედლის ნაწილი შესალესი და შესაღებია. "3" ღერძის მიმდებარედ +9.50 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენა. +16.10 ნიშნულზე "3-2" მონაკვეთში შეცვლილია კიბის უჯრედის ოთახის კარის გაბარიტი.
"ა-ბ"ფასადი: შენობის ძირში დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. +2.90 ნიშნულზე შეცვლილია მოაჯირების ვიზუალი.

წარმოსადგენია განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებისათვის გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის,

მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „გუდამაყრის 25“-ს ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, გუდამაყრის ქ. №25-ში (ს/კ №01.12.06.015.014) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01183021667-17 29.10.2018 და №19/01190432755-17 12.02.2019. განცხადებები.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე